ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№ NAT-180601

ქ. თბილისი **18 ივლისი 2019 წელი**

1.ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ ნოზაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ჯეოტურანი” (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის პაატა რუსაძის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე NAT190010821 ელექტრონული ტენდერის (აუქციონის გარეშე) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში-ხელშეკრულება) შემდეგზე:

2.ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება,
ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი"-ს მოვლა-პატრონობაში არსებულ ჯ. კახიძის სახელობის სკვერში მდებარე რეტერატში (დავით აღმაშენებლის გამზირი N125) ამორტიზებული საკანალიზაციო სისტემის გაწმენდისა და დავით აღმაშენებლის ქ. N127-ს მიმდებარედ არსებული შადრევნის დაზიანებული წყლის შემკრები ავზების დამაკავშირებელი და დამცლელი სისტემის გაწმენდის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (კლასიფიკატორის კოდი: 90420000 - მომსახურებები ჩამდინარე წყლების გაწმენდის სფეროში).
2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ზუსტი აღწერა და რაოდენობა მოცემულია ფასების ცხრილში (დანართი N1), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1028.00 (ერთი ათას ოცდარვა) ლარს, ყველა ხარჯისა და გადასახადის ჩათვლით.
2.4 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

3.მომსახურების გაწევის პირობები, ვადა და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღე.
3.2 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს ამ სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.
3.3 მომსახურების გაწევის ადგილი:
3.3.1. ქ. თბილისი, ჯ. კახიძის სახელობის სკვერში მდებარე რეტერატი (დავით აღმაშენებლის გამზირი N125);
3.3.2. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ქ. N127-ს მიმდებარედ არსებული შადრევანი.
3.4 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ან/და მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის მატერიალური ან/და არამატერიალური ზიანის ანაზღაურება.

4.შესყიდვის ობიექტის ხარისხი

მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1.1. ჯ. კახიძის სახელობის სკვერში მდებარე რეტერატში (დავით აღმაშენებლის გამზირი N125) ამორტიზებული საკანალიზაციო სისტემის გაწმენდის მომსახურების კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“-ს პარკების მოვლა პატრონობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი თამაზ რამიშვილი.
5.1.2 დავით აღმაშენებლის ქ. N127-ს მიმდებარედ არსებული შადრევნის დაზიანებული წყლის შემკრები ავზების დამაკავშირებელი და დამცლელი სისტემის გაწმენდის მომსახურების კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ჰიდრო სისტემების მოვლა-პატრონობის სამსახურის ინჟინერი გიორგი სარალიძე.
5.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქციაა გაწეული მომსახურების ხარისხის, მიწოდების ვადების და სხვა კრიტერიუმების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის აღმოფხვრა.

6.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებით.
6.2.1 ჯ. კახიძის სახელობის სკვერში მდებარე რეტერატში (დავით აღმაშენებლის გამზირი N125) ამორტიზებული საკანალიზაციაო სისტემის გაწმენდის მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენს შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“-ს პარკების მოვლა პატრონობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი თამაზ რამიშვილი.
6.2.2 დავით აღმაშენებლის ქ. N127-ს მიმდებარედ არსებული შადრევნის დაზიანებული წყლის შემკრები ავზების დამაკავშირებელი და დამცლელი სისტემის გაწმენდის მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენს შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“-ს ჰიდრო სისტემების მოვლა-პატრონობის სამსახურის ინჟნერი გიორგი სარალიძე.

7.ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი"-ს 2019 წლის სახსრებით.

7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ ანგარიშსწორებისთვის საჭირო დოკუმენტაციის - საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, "მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, "მიმწოდებელი" ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

8.4 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, "შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.6 ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო და პირგასამტეხლოს თანხები დაუკავდება მიმწოდებელს საქონლის ღირებულებიდან, იმ შემთხვევაში თუ საქონლის მიწოდება არ არის განხორციელებული მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შესაბამისი თანხა შესმსყიდველის სასარგებლოდ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ საქონლის ღირებულება ნაკლებია საჯარიმო თანხაზე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შესმსყიდველის სასარგებლოდ საჯარიმო თანხებსა და საქონლის ღირებულებას შორის არსებული სხვაობა შესმსყიდველის სასარგებლოდ.

9.ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

9.5 ამ მუხლის 9.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის ვადაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში გარემოება არ ჩაითვლება ფორს მაჟორულად.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, გარდა ამ მუხლის 11.2 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეცვლის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ოფიციალური წერილის სახით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წინამდებარე ხელშეკრულების რეკვიზიტებში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

13. სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად და დამოწმებულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, დოკუმენტებზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულების ან/და დოკუმენტების კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სახელმძღვანელო ინსტრუქციის მოთხოვნათა შესაბამისად.

13.4 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“ მის: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ქუჩა სანაპირო N 8 (ნაკვეთი 4/27) ელ-ფოსტა:info@ecosg.gov.ge სს ,,ლიბერთი ბანკი“ კოდი: LBRTGE22 ა/ა № GE06LB0113124260741000 ს/კ 404553666	შპს „ჯეოტურანი“ მის.: აკ.ბელიაშვილის ქ.132 ელ-ფოსტა: info@turanmak.ge ს.ს. „თიბისი ბანკი“ კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE60TB7930236020100005 ს/კ: 412670499
_____	_____
ვახტანგ ნოზაძე დირექტორი	პაატა რუსაძე დირექტორი

დანართი N1

ფასების ცხრილი			
N	მომსახურების დასახელება	განზომილება	ღირებულება (ლარი)
1	შადრევნის ავზის ამოტუმბვა სპეც. მანქანით 3.5 კბმ	1 სვლაგეზი	140.00
2	შადრევნის ავზის ამოტუმბვა რთულ პირობებში სპეც. მანქანით 3.5 კბმ	1 სვლაგეზი	190.00
3	შადრევნის ავზის გაწმენდა და დატვირთვა ხელით თვითმცლელზე, გატანა 20 კმ-მდე	1 კბმ	95.00
4	საკანალიზაციო ჭის ამოწმენდა ხელით რთულ პირობებში	1 ცალი	120.00
5	საკანალიზაციო ქსელის გარეცხვა წყლის ჭავლის საშუალებით 1-10 მ-მდე.	1 ცალი	230.00
6	საკანალიზაციო ქსელის გარეცხვა წყლის ჭავლის საშუალებით	1 მეტრი	23.00
7	უნიტაზის გაწმენდა	1 ცალი	60.00
8	ტრაპის გაწმენდა	1 ცალი	60.00
9	მწოლიარე მილის გაწმენდა	1 ცალი	110.00
ჯამი			1028.00

შემსყიდველი:

შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“
ს/კ 404553666

_____

ვახტანგ ნოზაძე
დირექტორი

მიმწოდებელი:

შპს „ჯეოტურანი“
ს/კ: 412670499

_____

პაატა რუსაძე
დირექტორი

<u>მოამზადა:</u>

შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“-ს ადმინისტრაციის

მთავარი სპეციალისტი: ნუნუ გიგოლაშვილი

<u>შეთანხმებულია:</u>

შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“-ს

შესყიდვების მენეჯერი: მალხაზ დავაძე

Malkhazi Davadze

Digitally signed by Malkhazi Davadze
Date: 2019.06.18 10:50:45 +04'00'

შპს ,,ეკოსერვის ჯგუფი“-ს

ადმინისტრაციის უფროსი: მალხაზ ლაბაძე